დონის როსტოვი. ასკ-ს სტადიონი. 6 მაისი.

ასკ (დონის როსტოვი) - “დინამო” (თბილისი) - 0:1 (0:1).

ასკ: კუდასოვი, სეროსტანოვი, შერგელაშვილი, ალექსანდროვი, აბრამოვი, ივანოვი (ანტიხოვიჩი), კუჩინსკასი (პლეშაკოვი), ესკოვი, ჩურკინი, ზინჩენკო, როდიონოვი.

“დინამო”: ურუშაძე, ძოძუაშვილი, ებრალიძე, ხურცილავა, მაჩაიძე, პეტრიაშვილი, კუტივაძე, მჭედლიშვილი (ჭელიძე), გავაშელი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

მსაჯი: ი. ლუკიანოვი (მოსკოვი).

დუბლიორები - 1:0 როსტოველთა სასარგებლოდ.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა მნიშვნელობა ენიჭებოდა როსტოვის მატჩს ორივე გუნდისთვის. თბილისელებს წინა ტურში განვლილი დამარცხების შემდეგ აუცილებლად გამარჯვება სჭირდებოდათ, სჭირდებოდათ პრესტიჟის აღსადგენადაც და სატურნირო მდგომარეობის გამოსასწორებლადაც, ხოლო როსტოველებს, უბრალოდ, უკან დასახევი გზა არა ჰქონდათ, ვინაიდან წაგების შემთხვევაში გათამაშების ცხრილში ბოლოსწინა ადგილს იკავებდნენ.

ასეთ პირობებში, როგორც წესი, დიდი მნიშვნელობა აქვს მატჩის დებიუტს და პირდაპირ უნდა ითქვას, დინამოელებმა პირველივე წუთებიდან აგრძნობინეს მასპინძლებს თავიანთი სერიოზული განზრახვა - 2 ქულის აღება. პირველი 15 წუთის განმავლობაში ისინი თითქმის არ მოსცილებიან მეტოქის კარის მისადგომებს. საქმე მარტო იმაში არაა, რომ თბილისელები ტექნიკურად სჯობდნენ მასპინძლებს. გუნდი თამაშობდა უაღრესად დიდი მონდომებით, მთელი ძალით. არ იშურებდა ძალ-ღონეს იმისთვის, რომ თავიდანვე დაეთრგუნა არმიელთა ყოველგვარი წინააღმდეგობა. როსტოველებმა ვერ შეძლეს ამ ძლიერი იერიშის მოგერიება. მე-17 წუთზე ბურთი ჩაიგდო მაჩაიძემ. იგი დაახლოებით 20 მეტრის დაცილებით მოძრაობდა კარის პარალელურად და მოულოდნელად, მოტრიალებით დაარტყა კარში. კუდასოვმა ვერაფერი გააწყო ძლიერი დარტყმის წინააღმდეგ და იძულებული იყო ბადიდან გამოეტანა ბურთი.

როსტოველთა მოთამაშეებიდან მოპირდაპირე გუნდის ტემპს ვერ აჰყვნენ აბრამოვი, ივანოვი, კუჩინსკასი... თავდამსხმელები საიმედოდ იყვნენ ჩაკეტილი თბილისელთა დაცვის მხრივ (განსაკუთრებით კარგად ეთამაშა მაჩაიძე ესკოვს). მაშინ გუნდმა სცადა თამაში აეგო ზინჩენკოზე, მაგრამ არც აქედან გამოვიდა რამე, ვინაიდან ეს სახიფათო თავდამსხმელიც მთლიანად ნეიტრალიზებული იქნა. შეიძლება ითქვას, რომ მთელი ტაიმის განმავლობაში როსტოველებს მხოლოდ ერთი ხელსაყრელი მდგომარეობა ჰქონდათ და ისიც ვერ გამოიყენა ესკოვმა.

სამაგიეროდ, არმიელთა კართან არაერთი სახიფათო მომენტი შეიქმნა, კერძოდ, ბურთის გატანა შეეძლოთ გავაშელს, კუტივაძეს, მაჩაიძეს, ძოძუაშვილს.

განახლდა მატჩი შესვენების შემდეგ და არმიელებმა უკანასკნელად სცადეს გარდატეხის შეტანა თამაშში. უკანასკნელადო, - ვამბობთ იმიტომ რომ ამ ცდას შედეგი არ მოჰყოლია და შემდგომში მინდვრის სრული ბატონ-პატრონნი კვლავ თბილისელები იყვნენ. 57-ე წუთზე ურუშაძემ ძნელი ბურთი აიღო სეროსტანოვისგან და ამის შემდეგ ჩვენს მეკარეს საფრთხე აღარ დამუქრებია. დინამოელებს წამითაც არ

დაუგდიათ ტემპი. იყო მომენტები, როცა როსტოველთა კარი ბეწვზე ეკიდა. მაგალითად, ძიძუაშვილი-გავაშელის კომბინაციის შემდეგ ბურთი ძელს მოხვდა, მერე იგივე გამეორდა პეტრიაშვილის დარტყმისას, ძალზე სახიფათო იყო ლ. და გ. ნოდიების მიერ გათამაშებული კომბინაცია და ა.შ.

საინტერესოა ასეთი ფაქტი: თბილისელებს შარშანდელ ჩემპიონატში მეტოქის მინდორზე არც ერთხელ არ მოუპოვებიათ გამარჯვება. უკანასკნელი მატჩი, რომელიც მათ სტუმრად მოიგეს, შედგა 1969 წლის 26 ოქტომბერს... იმავე როსტოვის გუნდთან.

ნ. ახალკაცი, სპორტის ოსტატი. (ჩვენი სპეც. კორ.).
“ლელო”, 8 მაისი, 1971 წ.